სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა სახელობის მონასტრის ტერიტორიის (ქ.თბილისში) გაწმენდა-კონსერვაცია და საექსპოზიციო სივრცის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 2013 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #990) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

| # | კონკურსანტის დასახელება | დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ი.მ. ახალი მუნაშელი | 17:50 21.10.2013 | |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |

საკონკურსო აპარატის წევრი
გ.გოგაძე

სალაროს შემოსავლის ორდერი

# CASH DEPOSIT ORDER

# 985160091

თარიღი 21/10/2013 Date

GEL

თიბისი ბანკი
TBC BANK

| | | | |
|---|---|---|---|
| შემომტანი Depositor | არჩილ მჭაბდე, 01025017480 | დებეტი Debit | 1003 |
| მიმღები ბანკი, კოდი Bank name, code | "თიბისი ბანკის" სააკაძის მოედნის ს/ც TBCBGE22 | კრედიტი Credit | GE51 TB37 9513 6010 1000 97 |
| მიმღები Receiver | ი/მ არჩილ მჭაბდე | | |
| თანხა სიტყვიერად, ვალუტა Amount in words, currency | ორმოცდაათი ლარი 90 თეთრი | თანხა ციფრებით Amount in figures | 50.9 GEL |
| შემოტანის დანიშნულება Description | გადასარიცხად | | |

ასლი
Copy

თიბისი ბანკი TBC BANK
კოდი CODE TBCBGE22
037039

ბ.ა.

მოლარე
Cashier

10/21/2013 3 34 41

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

# საგადახდო დავალება
# Payment Order

\# 1 GEL "თიბისი ბანკის" საიკაძის მოედნის სც

თარიღი / Date: 21/10/2013

გადამხდელი / Sender: ი/მ არჩილ მჭანბდე - 01025017480

რეფერენსი / Ref. Num.: 985160092

გადამხდელის ანგარიში/ Sender's Account: GE51TB3795136010100097

თანხა / Amount: 50 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank: ქ.თბილისი, სს თიბისი ბანკის სათაო ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code: TBCBGE22

თანხა სიტყვიერად / Amount in words: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

**ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა**
**Information on a person on behalf of whom the payment is made**

დასახელება / Name: ი/მ არჩილ მჭანბდე

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 01025017480

მიმღები / Receiver: სსიპ კონკურენციისა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code: GE52BR0000010591718543

შესრულების თარიღი / Operation Date: 21/10/2013

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank /Treasury: სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი / Bank Code: REPLGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details: კონკურსში მონაწილეობის საფასური, უნიკალური N: 990

ბანკში შემოსვლის თარიღი /Received: 21/10/2013

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information:

ხელმოწერა / Signature

შტამპის ადგილი

TBC BANK TBCBGE22 037039

ხელმოწერები / Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას

10/21/2013 3:34:41 P 985160092

მაია გელაშვილი

თიბისი ბანკი
TBC BANK

Saakadze Servis Centre #1
საკაძის სერვის ცენტრი №1

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
05/105-01

# საკონკურსო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა # 1689951-2436611

## კონკურსი 990

თბილისი 2013 წლის 21 ოქტომბერი

სს "თიბისი ბანკი", წარმოდგენილი მისი "თიბისი ბანკის" საკაძის მოედნის სცს ოპერაციების მენეჯერი ნინო ზუმბიაშვილი, მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით:

| | |
|---|---|
| გარანტი: | სს "თიბისი ბანკი" |
| პრინციპალი : | ი/მ არჩილ მენაბდე<br>პირადი ნომერი: 01025017480<br>რეგ. თარიღი: **26/03/2010-** |
| ბენეფიციარი : | სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო |
| გარანტიის თანხა : | 350,00 (სამასორმოცდაათი ლარი) ლარი (სავარაუდო ღირებულება 35000 ლარის 1%) |
| გარანტიის გაცემის საფუძველი : | წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა სახელობის მონასტრის ტერიტორიის (ქ.თბილისში) გაწმენდა-კონსერვაცია და საექსპოზიციო სივრცის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე |
| გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება: | "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა საგარანტიო წერილის პირობების შესაბამისად.<br>წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს "თიბისი ბანკის" საკაძის მოედნის სცს კანცელარიაში სამუშაო საათებში. |
| გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება: | "გარანტის" მიერ "ბენეფიციარისათვის" გარანტიის თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება შემდეგში:<br>1.თუ სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ "პრინციპალმა" უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების ვადის დასრულებამდე;<br>2.თუ "პრინციპალი" გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე;<br>3.თუ "პრინციპალი" დისკვალიფიცირებულ იქნა პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო |
| გარანტიის მოქმედების ვადა : | გარანტია ძალაში შედის 21.10 2013 და მოქმედებს 25.01.2014 ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ამ თარიღის ჩათვლით |

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა, მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.
წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).
საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

"თიბისი ბანკის" საკაძის მოედნის სცს ოპერაციების მენეჯერი ნინო ზუმბიაშვილი /----------------/

CHANCELLERY

საქართველო, 0160 თბილისი, შარტავას ქ №6
6 Shartava St. 0160 Tbilisi, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 227 27 27
ფაქსი/Fax: (+995 32) 277 27 27 Ex. 3717
info@tbcbank.com.ge
www.tbcbank.ge

1.რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: – ი/მ ამირან მენაბდე

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: ... ზურაბ მენაბდე

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: -- ქ. მცხეთა, ს. საგურამო

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: - ქ. თბილისი, ა. თოიძის ქ. N53. ბ. 23.

საიდენტიფიკაციო კოდი: - 01 02 50 17 480

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: – 555 907 – 665

ელექტრონული მისამართი: – a.menabde@gmil.com

ბანკის კოდი: – TBCBGE 22

ანგარიშსწორების ანგარიში: – GE 51 TB 3795 136010 100097

2. საკონკურსო წინადადების ფასი: – 35 000 ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: - 2013 წლის 20 ოქტომბერი

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: 30%

ხელმძღვანელის ხელმოწერა: [signature] ..........................

**დანართი #2**

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესამლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☑ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

---

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $195^1$ მუხლის შესაბამისად.

ლარის ანგარიშის რეკვიზიტები

**ს.ს. "თიბისი ბანკი"**

---

საბანკო კოდი - TBCBGE 22

მიმღების დასახელება - ი/მ არჩილ მენაბდე

ანგარიშსწორების ანგარიში -GE51 TB37 9513 6010 1000 97

FOR GEL TRANSFERS

**JSC "TBC Bank", Head Office**

---

BANK CODE - TBCBGE 22

NAME OF BENEFICIARY - P/E ARCHIL MENABDE

BEN' S ACCOUNT - GE51 TB37 9513 6010 1000 97

ქ. თბილისის წმ.ორმოც სებასტიელ მოწამეთა სახელობის მონასტრის ტერიტორიის

გაწმენდა-კონსარვაცია და საექსპოზიციო სივრცის მოწყობის პროექტი

პროექტში მონაწილე საპეციალისტები

- პროექტის ხელმძღავნელი ი.მ დოქტორი მ. ძნელაძე;
- პროექტის მთავარი არქიტექტორი ვ. ორბელაძე;
- არქიტექტორ-რესტავრატორი ნ. მინდორაშვილი;
- არქიტექტორ-დიზაინერი ა. მენაბდე;
- მხატვარ-არქიტექტორი ლ. ლაცაბიძე.



# მერაბ ძნელაძე



(მოკლე ინფორმაცია)

**დაიბადა** ქ. თბილისში 1951 წლის 18 აპრილს.

**ჰყავს** მეუღლე, სამი შვილი და შვილისშვილები.

**განათლება** – უმაღლესი (თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი).

**პროფესია** – ისტორიკოსი, არქეოლოგი, პედაგოგი.

**სამეცნიერო ხარისხი, წოდება** – ისტორიის დოქტორი, პროფესორი, სეა-ს აკადემიკოსი

**დაჯილდოვებულია** "ღირსების" ორდენითა და "სახალხო განათლების წარჩინებული"-ს სამკერდე ნიშნით.

**1970-1772 წწ. მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური**

**საცხოვრებელი ადგილი: თბილისი, ხათუნა დონდუას ქ. №1 მობ. 591 650 955 მობ. ტ. 296-95-24 სახლი. ელ.მისამართი: მერაბი-ძნელაძე © რამბლერ.რუ**

**საქმიანობა** – ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას:

2006 წლიდან დღემდე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის მეცნიერ თანამშრომელია.

1975-2006 წწ. მუშაობდა საქართეველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში უფროსს მეცნიერ თანამშრომლად.

1992-2002 წწ. მუშაობდა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში მთავარ სპეციალისტად, სამეცნიერო განყოფილების გამგედ.

**მისი თაოსნობით 1998 წელს შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილის სახ. გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალი, რომლის პირველ დირექტორადაც დაინიშნა.**

ი.გრიშაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო და ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების სამეცნიერო საბჭოების წევრია.

მონაწილეობას იღებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენციებში. სხვადასხვა წლებში კითხულობდა ლექციებს თბილისის, ბათუმისა და ოზურგეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

არის დავით აღმაშენებლის საზოგადოების წევრი. დამფუძნებელია "საქართველოს გარეთ ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა" (1989 წ.)

**აქტიურ მონაწილეობას იღებს ეკლესიების აღდგენა-შესწავლაში.** მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შესწავლილი იქნა: ბოდბის წმ. გიორგისა და ნინოს ტაძარი, თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა, ნარიყალას წმ.ნიკოლოზისა და კლდისუბნის წმ.გიორგის ეკლესიები, აბოს ნიში, ლაბეჭინას ღვთისმშობლის, რგანის, კორბოულის დუმაცხოვრის, ვაშნარის, მამათის წმ. გიორგის, მიქაელ-გაბრიელის თემში ანდრია პირველწოდებულისა და დვაბზუს ეკლესიები.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით, წლების განმავლობაში, **მუშაობდა მცხეთის არქეოლოგიურ ესპედიციაში.** მისი მონაწილეობით ითხრებოდა კარსნისხევის, სვეტიცხოვლის, კოდმანის, ღართისკარის, ნატახტარ-საფურცლის, წიწამურის ისტორიული ძეგლები. ასევე, მონაწილეობას იღებდა თბილისში, მცხეთაში, კახეთში, ბოლნისში, თეთრიწყაროში, დმანისში, ახალციხეში, ახალქალაქში, იმერეთ–გურიასა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებებში.

**მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით თბილისში შესწავლილი იქნა** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: 1) წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია – კომპლექსური და მრავალფენიანი ძეგლი (I-II სს. თერმა-აბანო; I-IV ს. და V–VI ს. დედაციხის გალავნისა და კარიბჭის ნაშთი; III-IV სს. მარანი ; IX-XII სს. სასახლე; სხვადასხვა დროინდელი შენობათა და სამაროვნის ნაშთები). არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა 1998 ; 2001 ; 2003 ; 2006 ; 2011 წლებში.
2) ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩებზე გაიწმინდა თბილისის ძველი ქალაქის გალავანი და კოშკები (სხვადასხვა დროინდელი ფენები, 5 კოშკი, « დიღმის კარი »).
3) 2010 წ. - მეფე ერეკლე II-ს მოედანი. სხვადასხვა დროინდელი (IX-XIV სს. ; XVII-XVIII სს.) ნამოსახლარის ნაშთები.
4) 2009 წ. – ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე თანამედროვე ჰერბარეუმის მშენებლობისას შესწავლილი იქნა XI-XIII სს. ტერასული დასახლებისა და XVIII-XIX სს სამაროვნის ნაშთები.
5) 2009-2010 წწ. «მირზაშაფის» (სეიდაბადის) დასახლებაში წარმოებული მიწის სამუშაოებისას არქეოლოგიური მეთვალყურეობა.

6) 2008 წ. – პუშკინის ქ. №1-3. აღმოჩნდა ძველი თბილისის გალავანი (XVII ს.) «კოჯრის კართან».

7) 2007 წ.–კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესიასა და მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები. აღმოჩნდა ეკლესიის სხვადასხვა პერიოდის ნაშთები (V-IX ; XII-XIII ; XV-XVII ; XVIII-XX სს.).
8) ორპირის ქ. №20, ნარიყალას ციხის აღმოსავლეთ ფერდზე. აღმოჩნდა მრავალფენიანი ძეგლი და «მკურნალის სახლი» (VII-IX ; XI-XIII სს.).
9) 2005 წ.შავთელის ქ.№22-24 (ანჩისხატის უბანი). აღმოჩნდა მრავალფენიანი ძეგლი (VII-IX ; XII-XIV ; XVII-XVIII სს.).
10) 1982-1997 წწ. ნარიყალა-დედაციხეზე არქეოლოგიური გაწმენდითი სამუშაოები, ეკლესიის აღდგენაში მონაწილეობის მიღება.
11) 1993 წ.- «სობოროს მონასტრის» სამაროვანი (რუსთაველის გამზირზე).

# CV



## საკვალიფიკაციო მონაცემები

| | |
|---|---|
| **სახელი, გვარი:** | ნოდარ მინდორაშვილი |
| **დაბადების თარიღი:** | 1951 წ. 29 ივნისი |
| **მოქალაქეობა:** | საქართველოს მოქალაქე |
| **ეროვნება:** | ქართველი |
| **ოჯახური მდგომარეობა:** | დაოჯახებული |
| **მისამართი:** | ქ. თბილისი, ვერცხლის ქ. №22 |
| | ტელ. : 92-17-21 ; 899-76-98-90 |
| **ენების ცოდნა:** | ქართული, რუსული |

ძირითადი კვალიფიკაცია: 1975 წლიდან მუშაობს ძეგლთა დაცვის სისტემაში, 1980-83 წლებში პარალელურად თანამშრომლობს ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან, როგორც არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შესრულდა არქეოლოგიური ძეგლების დეტალური ანაზომები. დამუშავდა ჟინვალის ნაქალაქარიდან უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადატანის პროექტი. მარკირებისა და სათანადო ქარგილების გამოყენებით გადატანილია: 1) ხერთვისის კოშკის კომპლექსი დაბა ჟინვალში; 2) XIII ს. საცხოვრებელი დარბაზის ფრაგმენტები; 3) კერამიკის გამოსაწვავი ქურა; 4) XIII ს. აკლდამა; 5) მცირე ეკლესია აკლდამით; 6) წარმართული ხანის საკურთხეველი საიდუმლო გასასვლელით.

განათლება: 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტორ-რესტავრატორის პირველი გამოშვება.

სამუშაო გამოცდილება: 1975-1977 წლამდე მუშაობდა კულტურის სამინისტროს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო კანტორა „კულტპროექტში“ (რუსთაველის პროსპექტი).

1977 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოში (ყიფშიძის ქ. №34), შემდგომში საპროექტო ინსტიტუტი „საქრესტავრაცია“ ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ცენტრში პროექტის მთ. არქიტეტორად.

1997 წლიდან დღემდე მუშაობს ხელშეკრულებით: საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრში არქიტექტორ-რესტავრატორად.

1975 წლიდან შესრულებულია მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით:

გარდაბნის რაიონი

1. მარტყოფის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციის პროექტი. 1975-76 წწ.

2. სოფ. საცხენისის დარბაზული ეკლესია. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად (აზომვები).
3. მარტყოფის გუმბათიანი ეკლესია. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად (აზომვები).

<u>თერჯოლის რაიონი</u>

1. დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი ზემო სიმონეთში. აღდგენილია 1979 წ.

<u>ხელვაჩაურის რაიონი</u>

1. გონიოს ციხე. V-XVII სს. აღდგენა მიმდინარეობდა ეტაპობრივად. აღდგენილია ციხე-გალავანი და კოშკების ძირითადი ნაწილი.

<u>2. სოფ. სარფი. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია. ( ანაზომი რესტავრაციის ესკიზური პროექტის ავტორი რ. ცხადაძესთან ერთად 2002 წელი).</u>

<u>ხულოს რაიონი</u>

1. ვერნების XI სს. დარბაზული ეკლესია. ნაწილობრივი აღდგენა-კონსერვაცია. 1979 წ. ხელმძღვანელი.
2. ფურტიოს და დანდალოს ხიდები შუა საუკუნეების. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1980 წ.

<u>3. ხიხანის ციხე . ( ანაზომი რესტავრაციის პროექტის ავტორი თ. დვალთან, ა. შავერდაშვილთან და გ. ქალებაშვილთან ერთად 2012 წელი).</u>

<u>ქ. თბილისი</u>

1. ვორონცოვის კოშკი – აღდგენილია 1980 წ.
2. ერეკლეს მოედანი. გიორგი XII-ს სასახლე. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1984 წ.
3. ბოტანიკური ბაღი. ძველი ხიდი შუა საუკუნეების. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1986 წ.
4. სიონის ეკლესია განვით. შუა საუკუნეები. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1980 წ.

<u>გურჯაანის რაიონი</u>

1. ველისციხის სამეკლესიიანი ბაზილიკა VI-VII სს. აღდგენილია 1984 წ.
2. ველისციხის სამრეკლო XIX სს. აღდგენილია 1994 წ.
3. სოფ. კოლაგი. წმ. მარიამის ეკლესია. გვიანი შუა საუკუნეები. რესტავრაციის პროექტი. 1991 წ.
4. სოფ. კოლაგი. მთავარანგელოზის მცირე დარბაზული ეკლესია. რესტავრაციის პროექტი. 1992 წ.
5. სოფ. კოლაგი. ვაჩნაძიანის დიდი ციხე. რესტ. პროექტი. 1992 წ.
6. სოფ. კოლაგი. ვაჩნაძიაანთ პატარა ციხე. რესტავრაციის პროექტი. 1992 წ.
7. დავით გარეჯის დარბაზული ეკლესია. XVI ს. აღდგენილია 2000 წ. (გურჯაანში).
8. კვირაცხოველის დარბაზული ეკლესია სოფ. სახასოში. პროექტი.
9. კარდანახის გუმბათიანი ეკლესია. კანკელი.
10. ქ. გურჯაანი. ზღუდრის ეკლესია XVII სს. აღდგენილია 1985 წ.

<u>თელავის რაიონი</u>

1. კისისხევის „კონდამიანი". VII სს. სამეკლესიიანი ბაზილიკა, ესკიზური პროექტი. 1985 წ.
2. კისისხევის გუმბათიანი ეკლესია. VI ს. ესკიზური პროექტი. 1985 წ.
3. კისისხევი. წმ. ნინოს VI ს. სამეკლესიიანი ბაზილიკა 1995 წ. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად.

<u>დედოფლისწყაროს რაიონი</u>

1. ტიბაანის კომპლექსი. ეპისკოპოსის სასახლე. აღდგენილია 1985 წ.

მცხეთის რაიონი

1. ანტიოქია მცხეთაში. IV ს. ჯგუფთან ერთად. აღდგენილია 1978 წ.
2. სვეტიცხოვლის გუმბათის ფიქსაცია XII ს. ჯგუფთან ერთად. 1977 წ.
3. სვეტიცხოველი. ეპისკოპოსის სასახლე XII ს. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად.1998წ
4. ბაგინეთი. რომაული აბანო II ს. აღდგენილია 1993 წ.
5. წილკანი. გუმბათიანი ეკლესია. პროექტის ავტორი. აღდგენილია 1983 წ.
6. წილკანი. გალავანი და კოშკები. აღდგენილია 1983 წ.

ცხინვალის რაიონი

1. ნიქოზის ერისთავების სასახლე. VIII ს. ესკიზური პროექტი. 1984 წ.

საჩხერის რაიონი

1. სავანეს წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია. XI ს. აღდგენილია 1997 წ.
2. სავანეს წმ. ნიკოლოზის გუმბათიანი ეკლესია. XV ს. აღდგენილია 1991 წ.
3. საჩხერის წმ. ნინოს გუმბათიანი ტაძარი. XV ს. აღდგენილია 1993 წ.
4. ჭალის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია. XII ს. აღდგენილია 1991 წ.

ყაზბეგის რაიონი

1. სოფ. ახალციხის სამნავიანი ბაზილიკა. X ს. აღდგენილია .
2. ტყარშეთის „მამაწმინდის" დარბაზული ეკლესია. X ს. რესტავრაციის პროექტი. 1982 წ.
3. ხნოს ციხე-გალავანი. აღდგენილია (არქ. ზედამხედველობა) 1982 წ.
4. ყაზბეგში ჩოფიკაშვილების საცხოვრებელი კომპლექსი. გვიანი შუა საუკუნეები. ფიქსაცია. ესკიზური პროექტი. 1983 წ.
5. დარიალის ციხე (თამარის ციხე) ადრეული შუა საუკუნეები. ფიქსაცია. ესკიზური პროექტი. 1983 წ.
6. სოფ. ფხელშე. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები. აღდგენილია 1983 წ.

1. გელათის აკადემია. შუა საუკუნეები. ფიქსაცია. 1981 წ.

ქარელის რაიონი

1. ვარიანის დარბაზული ეკლესია. XI ს. რესტავრაციის პროექტი. 1984 წ.
2. ურბნისის ბაზილიკა V ს. რესტავრაციის ესკიზური პროექტი. 1988 წ.

დუშეთის რაიონი

1. საქართველოს სამხედრო გზა. აღდგენილია 1983 წლისთვის.
   - ლომისის წმ. გიორგის ეკლესია. X ს.
   - მერეს ციხე
2. ბზიანას ორნავიანი ბაზილიკა XI ს. ფიქსაცია.
3. ხახმატის ზენა და ქვენა ჯვრის კომპლექსები. რესტავრაციის პროექტი. 1987 წ.
4. არდოტის ისტორიული სოფელი. წინასწარები და გენგეგმის ფიქსაცია. 1991 წ.
5. არდოტის გუმბათიანი ეკლესია. რესტავრაციის პროექტი. 1992 წ.
6. კისტანის ხუროთმოძღვრული კომპლექსი. ფიქსაცია. ესკიზური პროექტი.1994წ.
7. მუცოს ისტორიული სოფელი. არასრული ფიქსაცია. 1991 წ.
8. არხოტის საკულტო ნაგებობები (ფიქსაცია ჯგუფთან ერთად) 1992 წ.
9. შატილის ხატები. აღდგენილია 1984 წ.
10. შატილი. გადაუდებელი აღდგენა-რეაბილიტაციის პროგრამა. რესტავრაციის პროექტი. 1999 წ.

იოსებიძის ქ. №53 ბ. №23 ტელ: +995 32 387 218

თბილისი მობ: +995 55 907 665

საქართველო E-mail: a.menabde@gmail.com



# არჩილ მენაბდე

---

**დაბადების თარიღი:** 20/04/1986

**ოჯახური მდგომარეობა:** დაოჯახებული

**ეროვნება:** ქართველი

## განათლება:

- 1992 - 2001 წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მართლმადიდებლური გიმნაზია
- 2001 - 2003 საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული **ნატიფი ხელოვნების სკოლა**
- 2003 - 2007 **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)
- 2008 - **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი **“ურბანული რეკონსტრუქცია” (მაგისტრატურა)**
- 2008 - TCS -ინგლისურისა და კომპიუტერის სკოლა (სერთიფიკატი)
- 2008 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღია სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია **დიპლომი**
- 2007 - საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირი წლის საუკეთესო საბაკალავრო ნამუშევრისათვის დიდი დიღმისა და მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების გეგმა
- 2005 - 2007 "სინერჯი ჯგუფი" - რელიგიური ტურიზმის განვითარება

- 2007 - 2008 **შპს"აქსის"** –ის საპროექტო დეპარტამენტი სტაჟირება
- 2009 - დღემდე **"კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი"** არქიტექტორი
- 2010 – ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ჩატარებული **ტრეინინგ კურსის მონაწილე. დაჯილდოვებული**
- 2011 - 2012 შ.პ.ს „აპოლო გ.ს" **მირზა - შაფის ქუჩის** განაშენიანებისა და **განვითარების გეგმა.** არქიტექტორი.
- 2013 - დღემდე დამოუკიდებელი არქიტექტორი
- **ენები:** - ქართული, რუსული, ინგლისური.

Auto CAD, ArchiCAD , Photoshop, MS Office, MS Windows

# (CV)


ლაცაბიძე ლევანი ელგუჯას-ძე

**მისამართი :** ქ. რუსთავი . მე-17 მკ/რნ

**ტელ :** 597 203-157

**ელ.ფოსტა :** levani078@gmail.com


**დაბადების თარიღი :** 1978 წ. 19 მარტი

**განათლება ;** 1999-2004. წ თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. სპეციალობით - დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება (დიზაინი), მაგისტრი

**.გამოცდილება :** **2003 წ.** თბილისში წმ.40 სებასტიელ მოწამეთა სახელობის ეკლესიის მშენებლობლობაზე მთავარი არქიტექტორის თანაშემწეთ და საქმეთა მწარმოებლად

**2004 წ.** ქ.თბილისის არქეოლოგიურ ექპედიციაში მხატვარ-არქიტექტორად

**2005 წ .** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაცვის სპეცსამსახურისთვის , ყაზარმების და ოფისების მშენებლობაზე ქ. რუსთავთან და სოფ.ჯანდარაში საქმეთა მწარმოებლად.

**2006 წ .** ქ. რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მხატვარ არქიტექტორად

**2008 წ .** ქ. თბილისში ავჭალის დასახლებაში ეკლესიის მშენებლობაზე არქიტექტორის თანაშემწეთ და საქმეთა მწარმოებლად

**2009 წ.** საპროექტო ჯგუფში .(ინდივიდუალური პროექტები)

**2010 წ .** ძველი თბილისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მხატვარ-არქიტექტორად.

**2011 წ** . მანგლისის წმ. პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის მშენებლობაზე არქიტექტორად და საქმეთა მწარმოებლად

**2012 წ** . ძველი თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის პაოექტში. მხატვარ-არქიტექრორად

**უნარები :** **ხატვა –ხაზვა** (პროფესიულ დონეზე) archi cad (კარგად) auto cad(საშუალოდ) **Coreldraw** (კარგად)
**რუსული ენა** (კარგად) **გერმანული** (საშულოდ)
**ინგლისური** (მინიმალურად)

# ქ. თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიის გაწმენდა - კონსერვაციის და საგამოფენო-საექსპოზიციო სივრცის მოწყობის

# პროექტი



ხელმძღვანელი ისტ.მეცნ. დოქტორი მ. ძნელაძე

„ი.მ არჩილ მენაბდე" ა.მენაბდე

თბილისი 2013 წელი

## თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიის გაწმენდვა-კონსერვაციისა და საგამოფენო-საექსპოზიციო სივრცის მოწყობის

## პროექტი

(კონცეფცია)

აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ "აბანოთუბანში"-დედაციხის ქვედა მონაკვეთზე. იგი მოიცავს გორგასლის, სამღებროსა და ბოტანიკური ქუჩებს შორის მოქცეულ ფართობზე მდებარე წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთას მონასტრის ტერიტორიას.

ტერიტორია შემოფარგლულია გორგასლის ქუჩის მხრიდან ქვისა და აგურის შერეული წყობის გალავნით, ბოტანიკური და სამღებროს ქუჩების მხრიდან კი ლითონის ჭვირული ღობით. ტაძარი ეზოს სამხრეთის მხრიდან საზღვრავს. იგი დაფუძნებულია აგურის სუბსტრუქციაზე, რომელიც ფაქტიურად თაღებით გახსნილი ცოკოლის სართულს წარმოადგენს.

ამ ტერიტორიის არქეოლოგიურად შესწავლა 1998, 2001, 2003, 2006 და 2011 წლებში, პერიოდულად, მიმდინარეობდა. გამოჩნდა ეკლესიის რამდენიმე საამშენებლო ფენა და თბილისის გალავნის უძველესი კედელი – დედაქალაქის საწყისი ეტაპისა (V–VI სს.) და უფრო ადრეული პერიოდისა (I-IV სს.). აგრეთვე, მიკვლეულია სხვადასხვა ეპოქის ნაგებობათა ნაშთები: I-III სს. რომაულ აბანო, IV-V სს. მარანი, IX-XI სს. სასახლისა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების ნაშთები. ტერიტორიაზე გამოვლინდა სამარხებიცა (III-IVსს., XII ს. და XIII-XIV ს.ს.) და მრავალფეროვანი არტეფაქტები. დღეისათვის არსებული მონაცემებით, არქეოლოგიური მონაპოვარი I-III საუკუნეებიდან მოყოლებული XXს-მდე დროის მონაკვეთს მოიცავს. იგი ძველი თბილისის დასახლების იმ ნაწილს წარმოადგენს, სადაც, გარკვეულ დროს, ქვეყნის მმართველთა რეზიდენცია იყო განთავსებული.

ნაეკლესიარისადმი ცხოველი ინტერესი გამოწვეულია, აგრეთვე, ადგილის თბილისის მფარველ წმინდანთან - აბო ტფილელთან დაკავშირება. იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების "აბო ტფილელის მარტვილობის" მიხედვით წმ. აბო 786 წელს მოწამეობრივად აღესრულა სწორედ წმ.

ორმოცმოწამეთას ეკლესიის კართან. ყურადღებას იქცევდა ნატაძრალის მეტად იშვიათი, "ორმოცმოწამეთას" სახელწოდებაც და ბოლოს, ქალაქის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას მისი მდებარეობა.

არქეოლოგიური კვლევისას დადასტურებული მრავალფენიანი ძეგლი და იქვე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არტეფაქტები უაღრესად მნიშვნელოვანსა და ახალ ინფორმაციებს იძლევიან, როგორც თბილისის, ისე ზოგადად საქართველოს წარსულის-ისტორიის უკეთ გააზრებისათვის.

ზემოდთქმულიდან გამომდინარე, ორმოცმოწამეთას მონასტრის ტერიტორიის გაწმენდა – კონსერვაცია და საგამოფენო სივრცის მოწყობა მეტად საშურ საქმედ გვესახება. ამავე დროს, აღსანიშნავია საკონსერვაციო სამუშაოების დროულად ჩატარების აუცილებლობა, რადგანაც გამოვლენილი არქიტექტურული ფრაგმენტები შესაძლოა დაზიანდეს, ან სულაც ატმოსფერული ნალექებისა და სხვა ფაქტორების ზეგავლენით განადგურდეს.

გამაგრება-კონსერვაციის სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია არქეოლოგიური მასალის ძირფესვიანად შესწავლა-გაანალიზება, რათა დადგინდეს აუცილებლად შესანარჩუნებელი და საკონსერვაციო ობიექტები. რაც შეეხება გვიანდელ ობიექტებს, XIX-XX სს. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ნაგებობათა ნაშთებს, ჩვენი აზრით , აუცილებელია მათი აღება და მათ ქვემოთ, უფრო ადრეული, ფენების გამოვლენა. საჭიროა ჩახერგილ-გადატვირთული ტერიტორია გაიწმინდოს და გამონთავისუფლდეს საექსპოზიციო სივრცის უკეთ გაშლისა და კეთილმოწყობისათვის.

- აღნიშნულ პრიორიტეტებს დაადგენენ შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის სპეციალისტები.
- ნაგებობების უკეთ გამოვლენის მიზნით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების პარალელურად მოხდება საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებიც.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი აზრით, აუცილებელი იქნება გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაგებობების "ამოწევა" ეზოს (იატაკის) ნიშნულის ზემოთ, რათა შესაძლებელი გახდეს მათი უკეთ აღქმა -

“წაკითხვა” ექსპოზიციის დამთვალიერებელთათვის. გარდა ამისა, ზედა, დანამატი ფენის შექმნა აუცილებელია ქვედა, ავთენტური ნაწილის კონსერვაცია-დაცვისათვის.

- საჭიროდ მიგვაჩნია: ა) V-VI სს. გალავნის “ამოწევა” შესაბამისი სიმაღლის ნიშნულების, პარამეტრებისა და სხვა მახასიათებლების განსაზღვრით. ბ) საკონსერვაციო სამუშაო შეეხოს I-III სს. აბანოს ნაშთებს. გ) შესრულდება IX-XI სს. სასახლის დარბაზების იატაკების ზედაპირების “გასწორება“ (მეტნაკლებად) ავთენტური ქვების მოწესრიგების გზით. ცხადია ეს ჩარევაც დასაშვები დოზით უნდა შესრულდეს. დ) საექსპოზიციო სივრცის კეთილმოწყობის დროს აუცილებელი გახდება დამთვალიერებელთა სავალი ბილიკების, ხიდურებისა თუ სხვა ახალი არქიტექტურული ელემენტებისა და ფორმების გაჩენა, რაც აგრეთვე, ფრთხილი და ზომიერი უნდა იყოს. ყოველივე ეს შესრულდება მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მიერ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ვახტანგ გორგასლის დროინდელი (V-VI სს.) გალავნის ნაშთების უკეთ გამოვლენა-წარმოსახვა, მისი გამაგრება-კონსერვაცია. აგრეთვე, ტაძრის ქვედა ნაწილში აღმოჩენილი აბანოების ექსპოზიციაში მაქსიმალურად აქტიური ჩართვისათვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებათა შემუშავება.

ამ ღონისძიებებს წინ უნდა უსწრებდეს დამატებითი არქეოლოგიური კვლევები და საპროექტო სამუშაოები.

ტაძრისა და მონასტრის კელიების ქვედა სივრცეებში უნდა მოეწყოს არქეოლოგიური კვლევების შედეგად მოპოვებული მრავალფეროვანი არტეფაქტებისაგან შედგენილი ექსპოზიცია, დედაციხის თემატიკის გარშემო. ამ სივრცის მოწყობისას აუცილებელია თანამედროვე საექსპოზიციო სივრცისათვის საჭირო ყველა ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინება, როგორიცაა გათბობა-ვენტილაციის შესაბამისი რეჟიმების დაცვა, ადმინისტრაციული-სამეურნეო სათავსების მოწყობა,

ყველა საჭირო კომუნიკაციის (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროობა) დაცვისა თუ სხვა საჭირო ღონისძიებათა მაქსიმალური გათვალისწინება.

ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას, ჩვენი აზრით, აუცილებელია ტრადიციული და ამ კონკრეტული ადგილისათვის დამახასიათებელი მასალების გამოყენება.

კერძოდ, დაზიანებული კედლების აღდგენისას იმავე კედლის ნაშალი მასალის მაქსიმალურად თავის ადგილას დაბრუნება. წყობის შემკვრელი დუღაბიც მაქსიმალურად უნდა მივუახლოვოთ ავთენტურს. კედლების "აწევისას" და ნაშენების მოწყობის შემთხვევაში გონივრულ ფარგლებში დასაშვებად მიგვაჩნია პლატიფიკატორებისა თუ სხვა გასამაგრებელი ხსნარების გამოყენება ისე, რომ კარდინალურად არ შეცვალოს დუღაბის ვიზუალური მახასიათებლები. ზომიერი სხვაობა ფერსა და ფაქტურაში, ჩვენი აზრით, სასურველიცაა სადემარკაციო ფენის არაპედალირებული დემონსტრაციისათვის.

სასურველად მიგვაჩნია ტაძრის ტერასაზე არსებული დროებითი ხის სამრეკლოს ნაცვლად მონასტრის ეზოს შესასვლელში ქვისა და აგურისაგან ახალი მცირე ("მსუბუქი") სამრეკლოს აგება. ამ სამრეკლოს ქვედა ნაწილში შესაძლებელი იქნება საექსპოზიციო ტერიტორიაზე შესასვლელის მოწყობა. იქვე შეიძლება მცირე ზომის საკონტროლო სათავსის განთავსებაც. გორგასლის ქუჩის მხრიდან ქვა-აგურის გალავნის თაღოვანი ღიობის უკან არსებული ძველი (XIX-XX სს.) თონის ნარჩენების ადგილას შესაძლებლად მიგვაჩნია ახალი (ეთნოგრაფიული) თონის მოწყობა. "ქართული პურის" ცხობის პროცესი შესაძლებელია წარმატებით ჩაერთოს საექსპოზიციო-საგამოფენო ღონისძიებებში. საცხობის მოწყობამდე აუცილებელია აღნიშნული რამდენიმე სათავსოების გაწმენდვა და არქეოლოგიური კვლევის ჩატარება. მონასტრის ტერიტორიაზე "ქართული პურის" საცხობის სახურავი არ უნდა იყოს აქტიურად აქცენტირებული. სახურავი შეიძლება მოეწყოს მიმდებარედ არსებული და სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად გამაგრებული კედლების დონეზე. სახურავი, ჩვენი აზრით იქნება ბრტყელი,

ოდნავ დაქანებული (შერწყმული ძველ კედლებთან) და ზედა შემინვით, რათა დამთვალიერებელთათვის პურის ცხობის მთელი პროცესი იყოს თვალსაჩინო.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში მივიღებთ თბილისელებისა თუ ქალაქის სტუმრებისათვის-ტურისტებისათვის როგორც შემეცნებითი, ისე ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის თვალსაზრისითი უაღრესად საინტერესო საექსპოზიციო სივრცეს.

კვლევითი - საპროექტო სამუშაოების განხორციელების ეტაპობრიობას განსაზღვრავს:

1. არქეოლოგიური წინასწარული სამუშაოების ჩატარება არქიტექტურულ ნაგებობათა ნაშთების დაზუსტება შესწავლის მიზნით
2. აუცილებელი საკონსერვაციო - გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება;
3. მონასტრის შენობის და ტაძრის პირველ სართულებზე საექსპოზიციო სივრცის მოწესრიგება - მოწყობა.
4. არსებული ნაგებობის იატაკის ნაშთების მოწესრიგება - მოწყობა. იატაკის დანარჩენი ფართობის მოპირკეთება - თანამედროვე მასალით.
5. სადემონსტრაციო სტენდებისა და სხვა ელემენტების განთავსება.
6. სამუზეუმო არტეფაქტების მოზადება დამუშავება შემდგომი ექსპოზიციისათვის;
7. სამუზეუმო ექსპოზიციის მოწყობა.
8. მონასტრის ეზოში არსებულ ნაგებობათა კონსარვაცია - მოწესრიგება და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება.
9. მონასტრის ტერიტორიაზე მთავარი შესასვლელის მოწესრიგება.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.18.03.062.004

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| N 882008186644 - 18/06/2008 16:44:33 | 19/06/2008 17:37:49 |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თბილისი | კრწანისი | | |
| **01** | **18** | **03** | **62/004** |

მისამართი: ქალაქი თბილისი , სამლებროსა და ბოტანიკურ ქუჩებს შორის

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1244.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 62

## მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012000003708 , თარიღი 28/06/2000

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1998 წლის 1 მაისს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 10 ივლისის N15.81.870 დადგენილება.

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

## იპოთეკა

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება: არ არის დატვირთული

## სარგებლობა

| განცხადების რეგისტრაცია | |
|---|---|
| ნომერი 012000003708 თარიღი 28/06/2000 | მოიჯარე: სრულიად საქართველოს საპატრიარქო<br>მესაკუთრე: სახელმწიფო<br>საგანი: მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართით- 1244 კვ.მ.; |

## ვალდებულება

ყადაღა: არ არის რეგისტრირებული

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვეკავშირდეთ: 48 12 47; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან ,"სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

# საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.18.03.062.004
განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010788704
მიწის ნაკვეთის ფართობი: 1244 კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
მომზადების თარიღი 16.09.10




შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა

ვალდებულება

ხაზობრივი ნაგებობა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

მშენებარე ნაგებობა

მიწისქვეშა ნაგებობა

UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წ.მ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

# ორთოგრაფიული ფოტო




3
თბილისი წმ.40 სებასტიელ მოწამეთა
მონასტერი 2011 წ
არქეოლოგიური გეგმა
მ 1:100
არქიტექტორი: ლ.ლაცაბიძე

ქ.თბილისში სამღებროსა და ბოტანიკურ ქუჩებს შორის არსებული

ორმოც სებასტიელ მოწამეთა მამათა მონასტერი.

I სართულის გეგმა
(სამუზეუმო ექსპოზიციის სივრცის მოწყობა)

მასშტაბი 1 : 100



ქ.თბილისში სამღებროსა და ბოტანიკურ ქუჩებს შორის არსებული
ორმოც სებასტიელ მოწამეთა მამათა მონასტერი.
გენგეგმა.

ეზოს კეთილმოწყობის გეგმა

მასშტაბი 1 :200



მოკირწყლული საფეხმავლო ბილიკი

ლითონის კონსტრუქციის საფეხმავლო ბილიკი

ლითონის კონსტრუქციის მსუბუქი კიბე

ლითონის კონსტრუქციის მსუბუქი ხიდი


ფოტომონტაჟი.


არსებული

კედლების და მუზეუმის სამხრეთი ხედი.



ხედი მუზეუმის ინტერიერიდან





ხედი მეტეხის მხრიდან



მუზეუმის ინტერიერი.

აბანოს ხედები

ეკლესიის წმიდა სარდაფის ხედები









ტაძარი და ქვედა სართულის ექსტერიერი



გალავნის ხედები





სამუზეუმო სივრცე

